№ 56

შაბათი, 14 მარტი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 56

შაბათი, 14 მარტი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, სიდღეველის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА“.

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

| | | |
|---|---|---|
| პირველი ტომი გაიყიდება | . | 70 კ. |
| მეორე „ „ | . | 60 „ |
| მესამე „ „ | . | 60 „ |
| მეოთხე (ორი წიგნია) | | 1 მან. 20 „ |

და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—5)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. მ. პუღინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

ქართული დრამატიული დასის არტისტი

**ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი**

გამართავს სუფლიორის სასარგებლოდ მხოლოდ ერთს წარმოდგენას

წარმოდგენილი იქნება, პარასკევს, 20 მარტს,

**კ ი ნ ი**

ანუ გენიოსობა და სალახანობა

კომ. 5 მოქ. და 6 სურათად დიუმა-მამისა თარგ. ვალ. გუნიასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ბილეთების ყიდვა ამ თავითვე შეიძლება თეატრის კასსაში ყოველ დღე.

ბამგე თ. მ. ვ. წერეთელი

## ახალი ამბავი

*** მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ მოსკოვისა და კოლომენის მიტროპოლიტმა ვლადიმირმა გუშინ, 13 მარტს, სწირა სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში და წირვის შემდეგ გამოსამშვიდებელი სიტყვა წარმოსთქვა. ხვალ, 15 მარტს, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა სწირავს სიონის ტაძარში და შემდეგ გამოეთხოვება თავისს სამწყსოს.

*** ამ ჟამად უკვე დაამთავრეს ავლაბარში გადამდებ სენით შეპყრობილთათვის სამკურნალოს შენობა და ორშაბათს, 16 მარტს, აკურთხებენ კიდეც.

*** სამოსწავლო კომისიამ გადასწყვიტა ლორის-მელიქოვის სტიპენდია მოსკოვის ონივერსიტეტში მიეცეს სტუდენტს მანდენოვს.

*** ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ პირველ მარტს, „ნაბერეჟნი“ ქუჩაზედ, ვეტოშნიკოვის სახლს ქურდები თავს დაესხნენ და ვეტშონიკოვი ბებუთით დასჭრესო.

მას შემდეგ პოლიცია დაეძებდა დამნაშავეთ. 12 მარტს, დილის 4½ საათზედ პოლიციელმა დაინახა „ნაბერეჟნი“ ქუჩაზედ ვიღაც ორი კაცი, რომლებიც ვერის ხიდისაკენ მიიპარებოდნენ. პოლიციელი უკან დაედევნა. ეს კაცები გაჩერდნენ წოვიანოვის სახლთან, მეორე გიმნაზიის მახლობლად, დაიწყეს ლაპარაკი და თან უკან იხედებოდნენ, ხომ არავინ გვხედავსო. პოლიციელმა ეჭვი აიღო და იმათკენ გაეშურა. ეს რომ ჰნახეს ამ კაცებმა გაიქცნენ, მაგრამ პოლიციელმა მეორე პოლიციელს დაუძახა და ორთავენი შეიპყრეს. ერთი მათგანი აღმოჩნდა ერევნის მცხოვრები ირზა-ქერბალაი-ჯაფარ-ოღლი და მეორე სპარსეთის ქვეშევრდომი, ქ. მარანის მცხოვრები მამედ-ჰაჯი-გუსეინ-ოღლი. პირველს უპოვნეს დასისხლიანებული ბებუთი და მეორეს პატარა სატეხი. ჰკითხეს, ეს სატეხი რად გინდაო და მან უპასუხა, „ისე, არაფრადაო“. ამ კაცს ხელები გაუსინჯეს და შუშით დაჭრილი აღმოაჩნდა ერთი ხელი. ორთავეს არავითარი ხელობა და ცხოვრების სახსარი არა აქვთ. ორთავენი წაიყვანეს ვეტოშნიკოვებთან, მაგრამ იმათ ეს კაცები დამნაშავებად არ იცნეს.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგემ გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს პროექტი იმის შესახებ, რომ სულით ავადმყოფთა სამკურნალოს შენობას მეორე სართულიც მოემატოსო. პროექტის ძალით ამ შენობას დასჭირდება 3,497 მან. 38 კაპ.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ ახლო მომავალში განიხილავს კავკასიაში შინა მრეწველობის გავრცელებისა და განკარგების პროექტს.

*** 11 მარტს, ქალაქის გამგეობის სადგომში, იმ კომისიის კრებაზედ, რომელსაც საქონლით ვაჭრობის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა პროექტის შემუშავება აქვს მინდობილი, გუბერნიის ბეითალმა ბ-ნმა კრიდნერმა აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქალაქის

# ფელეტონი

### ნაწყვეტი

თუ მე სხვა ვიქმრო, შენს გარდა,
გამგმიროს თოფის ტყვიამა,
ველარ მოგხიბლოს ჩემი მზე
ჩემმა გულ-მკერდმა ღიამა!
წამილოს ღვარმა სისხლისამ,
ზეზეურ მჭამოს ჭიამა,
მაგინოს ცა და ქვეყანამ,
ველის ვარდმა და იამა!..

დ. მაჩხანელი

### წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

წერილი პირველი

**ზოლას საქმე და ინგლისელები**

ლონდონში მე სწორედ იმ დროს მივედი, როდესაც მთელი საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ არტისტიული ცხოვრება ყოვლის მხრივ გაღვიძებული იყო. მთავრობა შესდგომოდა ჩვეულებრივ ყოველ წლიურ საქმეებს. ამ ხანად პარლამენტს გასარჩევი ჰქონია მრავალ სხვათა შორის შორეულ აღმოსავლეთის და ჩინეთის საქმეები, ინდოეთის (სუდანის) მთიულების აჯანყების საქმე, სამხრეთ აფრიკის მდგომარეობა და ბრძოლა კონსერვატიულ პარტიისა ლონდონის მუნიციპალიტეტთან. მაგრამ არ გეგონოთ კი, მკითხველო, რომ ეს პარტია ებრძვის ძველის ლონდონის ანუ მისი ნაწილის სიტის თვით-მართველობას, რომელსაც დამკვიდრებული აქვს საშუალო საუკუნოებიდამ მუნიციპალური და კორპორატიური შეღავათები. ღმერთმა დაიფაროს!.. აბა ვის შეუძლიან ხელი შეახოს ძველთაგან დარჩენილ წმიდათა-წმიდა უფლებებს? არა სალისბიურის კაბინეტი ებრძვის „ახალ ლონდონის“ ანუ ხუთ მილიონიანი მცხოვრებთა ქალაქის მუნიციპალიტეტს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

როგორც საპოლიტიკო ცხოვრება და მეცნიერება, ისე არტისტიული ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა ამ მსოფლიო ქალაქში. ორი თეატრი შექსპირის პიესების თამაშობას უნდებოდა. „იული ცეზარს“ ხალხი აღელვებაში მოჰყავდა. დანარჩენი 38—40 თეატრი ხალხით გაჭედილი იყო. ერთში იმართებოდა სიმფონიური კონცერტი, მეორეში მხატვრობის გამოფენა, მესამეში დრამა-კომედიები და სხვა. ლონდონი, ერთის სიტყვით, ყალხზე იდგა. ქუჩებიც-კი შესამჩნევად სავსენი იყვნენ დარბაისელ, ჩაფიქრებულ და ჩქარის ნაბიჯით მოსიარულე ინგლისელებით, გზებზედ ეტლების ტევა აღარ იყო..., და აი ამ დროს მოდი, ნუ გაგიკვირდება, ყოველი მხრიდამ გესმის „ზოლა“, ყველა ამას იმეორებს იმ ნაირის გულდადებით, რომ აშკარად ეტყობა, თავისი შინაური თუ გარეული საქმეები უკან დაუყენებია და უპირველესს საგნად „ზოლა“ გაუხდია.

ზოლას პროცესი სწორეთ რომ ბედზედ მოესწრო იმ დროს ხალხს, რომელსაც ცხოვრებაში მიზნადა აქვს ყოველგვარ ღირს შესანიშნავს შემთხვევების გამო დანიშნოს სანაძლეოები კრივისა, ცურაობისა და სხვა ამ გვარ საქმეში. მაგრამ ზოლამ ამ გვარ ხალხის გარდა გაიტაცა ბევრი და ძალიან ბევრი სხვაც. გაზეთები სავსე იყო ზოლას საქმით. დილის გამოცემებს ასრულებდნენ შუადღისანი და ამთავრებდნენ ღამისანი, საღამოს გაზეთი 9 საათზე გამოდის.

რად მოხდა ესა? რა მოუვიდა ამ საქმის ხალხს (ინგლისელებს), რომ დიდით პატარამდე ჩანთქა ამ პროცესმა? ამ კითხვაზედ პასუხი მოითხოვს საქმის დაწვრილებით განხილვას და გამოკვლევას. მოკლედ რომ ვთქვათ, უმთავრესი მიზეზი ამ გვარი მოვლენისა ინგლისში დღევანდელი ცივლიზაციის მდგომარეობაა. ელვასავით სწრაფი მიმოსვლა, რკინის გზები, ტელეგრაფი, ტელეფონი და სხვ. ყველა ესენი საკმაოდ მოქმედობენ, რომ ინგლისელმაც გამოსცადოს ისეთი წუთი საზოგადოებრივი სულიერი ცხოვრებისა, რომელსაცა სცდის სხვა ტომის ანუ ქვეყნის ხალხი ერთსა და იმავე დროს. მთელი კაცობრიობა ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა. სხვა და სხვა ხალხის ინტერესები ერთმანეთში აირივნენ, თანაგრძნობა სხვა და სხვა პიროვნებისა, ერისა და ჯგუფისა შეერთდნენ. აქედან წარმოსდგება ის გარემოება, რომ ყველა ცდილობს განათლება მიიღოს და საზოგადოთ ხალხის ბრბო გამოვიდეს სიბნელეთიდგან, რომ მან შეიგნოს მკაფიოდ თავისი თვით არსებობა და საკუთარი ინტერესები. აქედამ წარმოსდგება, რომ ყველამ თავისი გვარი დახმარება აღმოუჩინოს შეძლებისამებრ მართალ მხარეს ოსმალეთში, სადაც ოსმალებმა თითქმის გაანადგურეს საკმაო ნაწილი საბერძნეთისა, სომხეთისა; ისპანიაში, რომლისაგანაც შევიწროვებულია კუბას კუნძული.

აწინდელი კაცობრიობა, სახელმწიფოთა საზღვრების და სარწმუნოებათა განკერძოების და სხვა და სხვაობის მიუხედავად, თან და თან უფრო ერთდება და ბრძოლა ჰეშმა-

მიერ აგებულ საქონლის ბაკში შერეკონ ხოლმე მხოლოდ ის საქონელი, რომელიც უნდა დაიკლას, ხოლო ახლად ჩამორეკილ საქონლისათვის ახალი ბაკი ააგონ ნავთლუღის სადგურის მახლობლად. ბაკის ხარჯი გამოანგარიშებულია 3,000 მან. წელიწადში, სხვათა შორის ბაკის გამგე ბეითალს 1,200 მან. ჯამაგირი უნდა დაენიშნოს.

⁂ 12 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში გარჩეულ იქმნა საქმე აზნაურის ილ. ცქირდიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მელიტონ ჟღენტის დაჭრა, რის გამოც იგი გარდაიცვალა თურმე. ოლქის სასამართლომ, როდესაც ეს საქმე გაარჩია, გადაუწყვიტა დამნაშავეს ყოველისავე უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და საცხოვრებლად ტობოლსკის გუბერნიაში გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა, მაგრამ ამასთანავე დაადგინა იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა ხსენებულის სასჯელის მაგიერ ცქირდიშვილი დაპატიმრებულ იქნას მხოლოდ $1^{1}/_{2}$ წლით.

⁂ კუკია-დიდუბისკენ რომ ქართულის წიგნების საწყობი გამართოს ვინმემ, უეჭველია მნიშვნელობა ექმნება, რადგანაც აქეთ ბევრი ქართველობა სცხოვრობს, ნამეტნავად ხელოსანი ხალხი და ესენი სამ-ოთხის ვერსის სიშორით დადიან, როცა-კი წიგნები მოუნდებათ. შევიტყეთ, რომ ერთ კაცს უკვე გადუწყვეტია დააარსოს წიგნების მაღაზია ავჭალისა, ან სხვა რომელსამე ქუჩაზედ.

⁂ წელს სომხურ გაზეთ „მშაკს“ შეუსრულდა 25 წლის არსებობა და 26-ში გადადგა. რედაქციას დიდძალი მოლოცვის წერილები მოსდის, ყოველ ნომერში რამდენიმე ადრესია დაბეჭდილი. ადრესებს შორის ჩვენ ძალიან ხშირად გვხვდება ნახვა ისეთის ადრესებისა, რომელნიც საქართველოს დაბებისა და სამაზრო ქალაქებიდგან არის გამოგზავნილი და ბევრს ქართული გვარიცა აქვს.

⁂ ბ-ნს ზ. ჭიჭინაძეს მოუმზადებია რამდენიმე წიგნაკი ქართველთ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ, სახელდობრ; 1) ქართველი კათოლიკენი გაზეთ „მშაკის“ საპასუხოდ, ვინმე მესხისა; 2) ქართველი კათოლიკენი (ამას წინად „მოამბეში“ დაიბეჭდა), ლ. ისარლოვისა. ეს წერილი რუსულადაც იბეჭდება ცალკე; 3) ქართველი კათოლიკენი, პ. იზაშვილისა, და „მშაკის“ წერილები. 4) უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა. (ამ ჟამად უკვე იბეჭდება); 5) ზეპირი ამბები, ნაამბობი მოხუცებულ ქართველ კათოლიკეთაგან არტაანის (არდაგანის) ოლქში, შავშეთში, ართვინისკენ, არდანუჯისკენ და ჯავახეთში იმათის გადაგვარების შესახებ; 6) ქართველ-კათოლიკეთა თავად-აზნაურნი, მოქალაქენი და სოფლის მცხოვრებნი, იმათის ძველის გვარების შედარება დღევანდელს ძველს, გადაკეთებულს გვარებთან; 7) ქართველ კათოლიკეთა ისტორია 1130—1755 წლამდის; 8) ქართველ-კათოლიკეთა შესანიშნავნი კაცნი, ეკკლესიათა აღმგებელ-მაშენებელნი, იმათის მეოხებით სად რა ეკკლესიები აღშენდა, ქართველნი მწიგნობარნი და მწერალნი, როდის რა დასწერეს და სთარგმნეს ქართულს ენაზედ, სად რა ინახება იმათის ნაშრომისა, რა დაიბეჭდა და რა დარჩა დაუბეჭდავათ. სასულიერო კაცნი და იმათი შრომა ქართულის ენის სასარგებლოდ, ქართველ გვარის მხითარისტნი და რომის „არო პაგანდოში“ სხვა-და-სხვა დროს ქართულის ენის პროფესორები.

ამ წიგნების დასაბეჭდად ხელისმოწერაც არის გამართული გამომცემელთან.

ამას გარდა, როგორც შევიტყეთ, ერთი ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი, რომელიც რომში (სებასტიანოში) სცხოვრობს, ფილოსოფიისა და ღვთის-მეტყველების კანდიდატი, ფრანგულს ენაზედ ქართველ-კათოსლიკების ისტორიას სწერს თურმე.

⁂ გაზ. „ახ. მიმ“. სიტყვით, ამ დღეებში შეუდგებიან ვანქის ტაძრის ეზოში საეკკლესიო-საისტორიო მუზეუმის აგებას. ამ მუზეუმში შენახულ იქმნება ძველი სომხური ხელნაწერები, სხვა-და-სხვა საეკკლესიო ნივთი და საზოგადოდ ყველა ის, რაც სომეხთა ერისა და ეკკლესიის ისტორიას შეეხება. შენობის აგება და თავდაპირველი მოწყობა უკისრია ბაქოს მდიდარ სომეხს ა. ბ. ღუკასოვს, რომელსაც ამ საქმისათვის 17,000 მანეთი შეუწირავს. ქართულ მუზეუმის საქმე კი დღევანდლამდე ბედს ელის...

⁂ გაზ. „კავკასს“ სწერენ დუშეთის მაზრის სოფ. ნატახტრიდგან, რომ ამას წინად აქ ვიღაც ბოროტგანმზრახველებმა ეკკლესიის კარები გასტეხეს, ეკკლესიაში შევიდნენ და მოიპარეს სხვა-და-სხვა ნივთები 217 მან. ღირებულებისა და 20 მ. ფულადაო.

⁂ გაზ. „Нов“. სიტყვით, ყირიმის მემამულემ თავ. ლ. ს. გოლიცინმა გადასცა თურმე მეურნეობის სამინისტროს 100,000 მანეთი და სთხოვა, რომ ამ ფულით იმპერატორის ალექსანდრე III სახელობაზე ჯილდოები დანიშნოს იმათთვის, ვინც კარგ წიგნს შეადგენს მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ. სულ ექვსი ჯილდო უნდა დაინიშნოს: ერთი იმას, ვინც რუსეთის მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებს თხზულებას დასწერს, მეორე—ამიერ კავკასიისა და შავის ზღვის ნაპირის ოლქში საუკეთესო ღვინოს ვინც მოიყვანს; მესამე—ყირიმში საუკეთესო ლიკიორის და ღვინის მომყვანს, მეოთხე—მთელს რუსეთში საუკეთესო საჭმელად სახმარებელ ყურძნის მომყვანს, მეხუთე—მთელს რუსეთში საუკეთესო ვენახების პატრონს და მეექვსე საუკეთესო მოსწავლეს, რომელიც ნიკიტის საიმპერატორო სასწავლებელში მევენახეობის და მეღვინეობის სწავლას დაასრულებს.

⁂ დ. ოჭუმჩ. ჩვენის ნაწილის უფროსის მხნე და დაუღალავმა შრომა მეცადინეობამ საგრძნობელი ნაყოფი მოუტანა სამურზაყანოს მკვიდრთ. ათი თვე გადის რაც ქურდობა, ძარცვა-გლეჯა მოისპო ჩვენში. დღეს თავის ნებით გამოეცხადა აქაურს პოლიციას დიდის ხნიდან გავარდნილი ყაჩაღი ჭოლარია. ამ ყაჩალს არა ერთი და ორი ავ-კაცობა ჩაუდენია, შარშან კინაღამ მოჰკლა ჩვენის ნაწილის უფროსად ნამყოფი ბ-ნ ზენჩენკო. ამავე ყაჩაღმა ერთის კვირის უკან გაძარცვა გზაზედ მიმავალი ვაჭარი დგები, წაართვა ორასი მანეთი ფულად და ცხენი უნაგრიანად. რადგანაც პოლიციამ ჭოლარიას ნათესავები თითქმის სუყველანი გაბაწრა, ჭოლარიაც დაჰნებდა მთავრობას.

სოფლიდგან სოფლამდის ყოველგან კეთდება გზატკეცილი და გაცხარებული მუშაობაა.

ამ ჟამად ბ-ნის უფროსის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია სოფლის მძარცველ და ხალხის გონების დამახშობელ მკითხავებისაკენ. იმედია, ბ-ნი უფროსი ამათაც აჰლაგმავს ხალხის საკეთილდღეოდ.

თებერვალში-კი დარები იდგა, მოვიდა მარტი და თავისებური ჭინჭყლი ასტეხა.

## წერილი ზესტაფონიდგან

„ნურას უკაცრაოდ!“—„იმედი კარგი საქონელია!“—„ვნახოთ შემდეგში!“...—„იქით, იქით!“—„კრება სკოლის საქმეზედ.“—„კვლავ ნუ გაგვეგონოს!“—„სენატორები!“

მკითხველი იქნება უკმაყოფილოდ მყავდეს, რა არის რომ ზესტაფონის ხსენება ძალიან იშვიათია გაზეთის ფურცელზეო, მაშინ როდესაც სხვა მხარეებიდგან ხანდახან მაინც იწერებიან ზოგს სასიამოვნოს და ზოგს უსიამოვნო ამბებსაო. ამის მიზეზი კორრესპონდენტი არ არის, მიზეზი თვით ჩვენი დაბის მიძინება გახლავთ; თუ ხანდახან ვინმე მძინარე თვალში თითს სჩხრიკებს და ნება-უნებურად გააჰყეტინებს ხანგრძლივის ძილის გამო ობ-მოკიდებულ თვალებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი მიახედვ-მოახედვოს და ისევ ძილისკენ გზა დაულოცოს. ამისთანა ადგილიდგან, რასაკვირველია, „ღვთის წყალობის“ მოწერა არავის შეუძლიან, რადგანაც ის აქ არ მოიძებნება. ამის შემდეგ ვეცდები დრო გამოშვებით გავახსენო მკითხველს ამ დაბის სახელი და თუ ამ გახსენებაში შიგა და შიგ პილპილიც გაერიოს, „ნურას უკაცრაოდ!“ მაშ დავიწყოთ...

ოდესღაც „დიდებული“ ჩვენი დაბა დღეს ის აღარ არის, რაც ამ პატარა ხნის წინ იყო. რასაკვირველია შეუცვლელი დარჩა ზესტაფონის ტალახ-წუმპეები, ქუჩის ოღრო ჩოღროები, ჭორიკანობა-აურ-ზაური და სხვა ამისთანა; ატირდება ბუნება—ტალახში უნდა იცურავო! დათბება—ქუჩას ბოსლის სუნი აუდის! ეს სულ ძველებურ-ჩვენებურია! შეიცვალა მხოლოდ ის ფუსფუსი და ციებ-ცხელება, რომლის სათავე სადღაც მღვიმევისა, შუქრუთისა და სხვა სოფლების შავი-ქვის მაღაროებში იყო დამარხული. ნელ-ნელა მსხვილმა კაპიტალისტებმა ჩაჰყლაპეს შავის-ქვის წვრილნი მწარმოებელნი და თითონ გაუბატონდნენ წარმოებას. დღეს წვრილნი მწარმოებელნი სადღაც კუთხეში მიმალულნი კრუსუნებენ; მსხვილმა კაპიტალმა-კი ერთი-ორად გააფართოვა წარმოება. „შაურად ფუთი ხელს არ გვაძლევსო“, ამბობენ დამარცხებულნი, გამარჯვებულნი-კი წინანდელზედ უფრო მეტად ივსებენ ჯიბეებს. დამარცხებულთ ჯერ კიდევ იმედი აქვთ: „წარმოება გამობრუნდება, ჩვენც წელს გავიმართავთო!“ ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ შავის ქვის წარმოება დაცემულია; ისკი ავიწყდებათ, რომ ახლა შავი ქვა წინანდელზედ მეტი მიდის სამზღვარგარეთ! იმედი კარგი საქონელია, ღმერთმა მისცეთ! ჩვენ-კი გვგონია, რომ დამარცხებულნი ისევ „შავის ქვის მწარმოებელნი“ ვეღარ შეიქმნებიან და მით ზესტაფონის გაყინულ ძარღვში ფულის ძებნისთვის გაცხელებულს სისხლს ხელ-მეორედ ვერ ჩაასხმენ!...

ეს წრევანდელი წელი ხომ მაინც დაწყევლილია ჩვენთვის; კარგად საგრძნობი ზამთარი როგორც იყო გავათრიეთ; გვეგონა, ახლა დაგვითბა და ღონეს მოვიკრებთ, რომ ძაღლუმადური ცხოვრება მეორე ზამთრამდე კიდევ ვაჯახრიკოთო; დახე, ისევ აგვიტირდა ბუნება, თოვლიც-კი მოგვაყარა და ისევ ფუთობით შეშის ყიდვა მოგვაყენა კარზედ. ჯერ კიდევ ჩამოსტირის ბუნებას თავ-პირი, ვნახოთ შემდეგში!..

წარსულ შემოდგომას დალია კარგა ხანს მობრძავი სული „მამინაცვალისაგან“ დაობლებულმა წიგნთ-

რიტების, უფლების და კაცის ღირსების დასაცველად, ბრძოლა საზოგადო და საერო განვითარებისათვის ყველას ყურადღებას იზიდავს და მთელის ქვეყნის კერძო კაცების სიყვარულს და თანაგრძნობას იწვევს, სულ ერთია, სადაც უნდა მოხდეს ეს ბრძოლა: აზიასა თუ ევროპაში.

მით უფრო დიდის ინტერესით ადევნებდნენ ინგლისელები თვალყურს ყველა იმ ამბავს, რომელიც მოხდა საფრანგეთსა და პარიჟში, სადაც მსოფლიო სცენაზედ შესანიშნავმა და სახე-განთქმულმა კაცმა საბრძოლველად გამოიწვია მჭიდროდ შეკავშირებული უსამართლობა და დახავსებული ბოროტ-მომქმედება ხოლო ვის მხარეს იყო და ვის უცხადებდა თანაგრძნობას ინგლისის მკითხველი საზოგადოება, ეს აშკარადა სჩანს იმ მოწინავე წერილებიდგან, რომელიც სხვა და სხვა დასის ჟურნალსა და გაზეთში იბეჭდებოდა, ზოლას საქმის გამო. აი ნიმუშები ამ წერილებისაც:

1, კონსერვატორული გაზეთები: „Times“—„მარტო ზოლა არ იქმნა დამნაშავედ ცნობილი: იმასთან ერთად დამნაშავედ ცნობილ იქმნა მესამე რესპუბლიკაც, რადგანაც იგი ამიერიდგან აღარ უზრუნველ ჰყოფს უფლებას და თავისუფლებას თავისს მოქალაქეთა, რომელთა გულისათვისაც მხოლოდ არსებობს“.

„Standard“—„მთავრობას, სასამართლოს თავმჯდომარეს, ბრალდების მოწმეთ ერთი მხარი ეჭირათ და იმდენი ეცადნენ, რომ მართლმსაჯულება დააკოჭლეს, დააყრუეს და დააბრმავეს... სამოქალაქო სასამართლო სამხედრო-სამსჯავრო კომისიად გარდაჰქმნეს... რესპუბლიკა თავისს დევიზად უპირველეს ყოვლისა „თავისუფლებას“ აღიარებს, ხოლო ამ რესპუბლიკის საზოგადოება ევროპაში ყველაზედ უფრო უუფლებოა“.

„Pall Mall“—„ჩვენის აზრით, ის განაჩენი, რომელიც სასამართლომ ზოლას საქმის გამო დაადგინა, არამც თუ სასტიკი და ბარბაროსულია, არამედ სულელურიც არის... ზოლამ კარგად იცოდა, რა სურდა და რისთვის გამოვიდა ბრძოლის ველზედ, როდესაც მოწინააღმდეგენი გამოიწვია. მით უფრო პატივისა და თაყვანის ცემის ღირსია იგი, რომ საფრანგეთის ხასიეთის ღირსებას მხარი დაუჭირა“.

„Daily Mail“.—„ზოლა ერთის წლით საპატიმროში წავა, ხოლო საფრანგეთი ამოფხეკს თავისს სახელს განათლებულ ქვეყნების სიიდგან, ვიდრე არ მოიშორებს თავიდგან ამ ბურუსს, არ გამოფხიზლდება და არ მიხვდება რამდენად უმართებულო იყო ეს სასამართლოს მანქანება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს გამოფხიზლება დიდ ხანს არ გვალოდინებს“.

2, ლიბერალური გაზეთები: „Daily Nevs“—„განაჩენი სასტიკი და ბარბაროსულია... თავმჯდომარე ადმინისტრაციის საცოდავ იარაღად იყო გარდაქცეული... სამხედრო მოწმეთა ყოფა-ქცევა ჩირქსა სცხებდა როგორც სასამართლოს, აგრეთვე თვით მეომართაც. ამ განაჩენით სამხედრო ძალამ სამართალი დაიქვემდებარა“.

„Westminster Gazet“—„ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ რესპუბლიკაში მოქალაქობა მნიშვნელობასა ჰკარგავს და ძალა ჯარმა ჩაიგდო ხელში... როდესაც შტაბის უფროსი უბრძანებს სასამართლოს და მსაჯულთ... საფრანგეთში რესპუბლიკანურს მთავრობას ადგილი აღარ აქვს... მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ განაჩენი ზოლას შესახებ გონს ჩააგდებს და გამოაფხიზლებს ხალხს“.

„Daily Chronicle“—„ამ საქმის გარჩევის დროს მთავრობის ყველა მომხრე მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებდა... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვიდრე ის 12 თვე დასრულდება, რომელიც ზოლას გადაუწყვიტეს, საფრანგეთი ხელახლა გამოფხიზლდება და აისხამს ფრთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაამტკიცებს, რომ უარჰყო ის დიადი იდეები, რომელთაც საფრანგეთი ამ საუკუნის უდიდეს ძალად გაჰხადეს“.

მკითხველი ჰხედავს, რომ სხვა და სხვა დასის ჟურნალ-გაზეთები ერთნაირად სჯიან და ერთისა და იგივე ენით ლაპარაკობენ: მათ ალაპარაკებს დიდი წყენა გათელილ-უფლებათა გამო, დიადი სიყვარული საფრანგეთისა და დიადივე იმედი საფრანგეთის ხალხისა, რომელიც არ დააყოვნებს და კიდევ გამოვა სიმართლის, ჭეშმარიტების და პატიოსნების დამცველად... ყველა იმის დამცველად, რისთვისაც მთელ ამ საუკუნის პირველ ნახევარს იბრძოდა და რისთვისაც მას ქვეყანამ უწოდა „დიადი ერი.“—„La Grande Nation“.

და თუ ზოლამ თავისის საქმითა და თავ-გამოდებულის ბრძოლით ხელ ახლა გამოაფხიზლა და გამოაღვიძა ძლიერი ერი, მაშინ იმის შესანიშნავის მწერლის სახელს დიდებული მოქალაქის სახელიც მიემატება.

ვ. მარველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცავმა. „მამინაცვალი“ შინ არ არის და სანამ ამღზრდელს არ მოუნახავთ ამ ბავშვს, მანამ... კარები მიკეტეთო, გვითხრეს; მივიხედ-მოვიხედეთ და სანამ ძებნაში ვიყავით, კარი დაჭედილი დარჩა! ახლა? ახლა: „ნუ ხართ ხეპრე და თავ-ქარიანები, რა თქვენი საქმეა ეს გაზეთების კითხვა და რაღაცაების ჩხაბნა“-ო, ჩამოგვძახიან. თუ ჩვენი ქება დიდება არ იქნება, „იქით, იქით“, „Куда воронъ костей не заносилъ“-ო ჩაურიუსულებენ ბოლოს „ნახევრად გადაპარუსკებულნი“.

მართლა-და რაღა-ღა უნდა იტეხო თავი ბიბლიოთეკისთვის, ტვინის ვარჯიშობისთვის, საზოგადო საქმისა და სხვა ამისთანებისათვის იქ, სადაც ამითი თავ-ქარიანისა და ხეპრე კაცის სახელს დაიმსახურებ; სადაც ყველა ამგვარს ჭახრაკს უჭერენ, ლიპსა და ცხოვრებაში გაცვეთილობას უფრო პატივს სცემენ, ვიდრე ნამდვილს პატიოსნებას; სადაც კაცის ღირსება იზომება თეთრის თმა-წვერით და თუნდა ტვინი დაობებულიც იყოს! უხაროდეთ!

ამას წინად აქ რამდენსამე კაცს კერძო მოლაპარაკება ჰქონდა სკოლის საქმის გამო; უნდა მოელაპარაკნათ ნორმალურ სკოლასთან პარალელურის განყოფილების დაარსების შესახებ. „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებაო“, იტყვიან: ამ კრებიდანაც არაფერი „წარმოდენილა“ (ალბად არაფერი „იდგა!“), მაგრამ ის მაინც ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია იმითი, რომ ეს სკოლა ოცი წელია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში იმისის ავ-კარგის გამო ერთი ხმა არ დაძრულა, დღეს-კი კარგა ხნის ძილის შემდეგ ისევ ვაჭყეტთ თვალებს!

აქა-იქ იმ აზრისანი არიან, რომ კარგი იქნება სკოლისთვის თანხა შევადგინოთ იმ ფულიდგან, რასაც ახლა „სენატორებს“ (სანიტარებს ეძახიან) ვაძლევთო. ეს „სენატორები“ თურმე შავი-ჭამის შიშით, „მიაჩეჩეს“ დაბას და თვე და თვე იმათის ჯიბეებისთვის 10—15 თუმნამდე იკრიბება. ეს წელიწადში კარგა ბლომა ფულს შეადგენს, მაგრამ წუმპე-ტალახებს მაინც არაფერი ეშველა. ფული თავისთვის არის, წუმპე თავისთვის. და აბა ერთი ჩვენც თქვათ, სად ტალახის წმენდა და სად სენატორი? ყველა ამას დაბა დღეს მაინც კარგად ჰხედავს და, რასაკვირველია, კარგი იქნება წლის თავზე (მგონი ამ მარტის გასულს იქნება) თვალები გავახილოთ და ვინც ასე გულმოდგინეთ გვემსახურება, ჩვენც ჯეროვანი მადლობა გარდავუხადოთ და ქება-დიდება უძღვნათ!

ვ. სე—ლი

## წერილი ქ. შუშადგან

ქ. შუშა აშენებულია 1752 წელს პანახ-ალი-ბეკისაგან განჯის გუბერნიაში და წარმოადგენს ძველებურ სიმაგრეს. მაღალისა და მაგარის ციხის კედლები ეხლა სრულიად დანგრეულია, მხოლოდ აქა-იქ კიდევ დარჩენილა უცვლელად. შუშა მდებარეობს ვიწრო მთაზედ, 4705 ფუტ. სიმაღლეზედ. ამითი აიხსნება, რომ აქ დიდი ზამთარი იცის, ცივი და თოვლიანი, გაზაფხული ნისლიანი და წვიმიანი. უადგილობის გამო ქალაქი ძალიან შევიწროებულა, სახლები ერთი-ერთმანეთს ეკვრის, ქუჩები ისეთი უსწორ-მასწორო, ოღრო-ჩოღროიანია, რომ არამც თუ ეტლით, ადამიანს ფეხითაც უჭირდება სიარული; აქ არც კი იციან, რა არის ეტლი! ფურგუნები დიდის წვალებით ამოაქვთ. ყოველი საჭირო სანოვაგე, შეშა, სახლის მასალა, წყალი და სხ. ცხენებითა და ვირებით შემოაქვთ. სწორედ ამ შეუფერებელ მდებარეობის გამო უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ შუშა მოწყვეტილივით არის დანარჩენ მაზრისგან, გარშემო სოფლებთან დიდი მისვლა-მოსვლა არა აქვს, ვაჭრობაც ბევრი არაფერი. მან რითი უნდა ივაჭროს? მრავალი იქაური მცხოვრები, მეტადრე სომხები, გასულნი არიან გარეთ საზრდოს საშოვნელად. ბევრსაც შეუძენია კარგი სიმდიდრე, უმეტესი ნაწილი ბაქოელი ვაჭრებისა — შუშელები არიან. მაგრამ ამათ არ დაუკარგავთ კავშირი თავისს მშობელ ქალაქთან. ზაფხულობით, ხანდახან დასასვენებლად მიდიან ხოლმე, დახედავენ თავიანთ ნახევრად დანგრეულ სახლს, დარჩებიან რამდენსამე კვირას და ისევ მალე მიინებებენ თავს მშვენიერს შუშას. ან რისთვინ უნდა შეიწუხონ ქალაქზედ ტყუილ-უბრალოდ თავი: მუდმივ აქ არა სცხოვრობენ, მეორეც შუშას დიდი მომავალი არ უნდა ჰქონდეს, როგორც, ვთქვათ, ბაქოს! მაგრამ იქ-კი ჰზრუნავენ რასმე?.. ასე თუ ისე, შუშას ღალატეს შვილებმა, ყველამ მიატოვა, ამაზედ აღარავინ ფიქრობს. ბევრი იმ აზრისაა, რომ თუ ვინიცობაა რკინის გზამ ახლო გაიარა, შუშა სრულიად დაიღუპებაო... მართლა და შუშა ძალიან უხერხულ ადგილას არის გაშენებული. შესაძლოა სიმაგრისათვის კარგი ადგილი იყო ოდესმე, ქალაქისათვის-კი რა მოგახსენოთ. შუშა ყოველის მხრით ღარიბია, გარდა... გარდა ქვებისა! ამბობენ, როცა რომელსამე სახლს ცეცხლი მოეკიდება, ქვებს დაუწყებენ სროლას და ამითი გააქრობენო! საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მთელ შუშის მაზრაში სომხები უფრო მაღლობ ადგილებზედ დასახლებულან, ვიდრე თათრები. თათრებს თბილი და ვაკე ადგილები დაუჭერიათ, სოფლებიც ბუნებით უფრო მდიდრებია. უკანასკნელ საერთო აღწერით შუშაში ითვლება 26,000 სული სომეხი და თათარი; სომხები ნახევარზედ ცოტა მეტნი ითვლებიან.

შუშა განიყოფება ორ ნაწილად: თათრებისა და სომხების უბნებად. თათრების უბანი უფრო ძველია და მით უფრო ღარიბი და უსუფთაო, სომხების უბანი უფრო მდიდარია და შედარებით სუფთა, ვაჭრობა სომხების ხელშია... მართალია, თათრებიც ვაჭრობენ, მაგრამ ვაჭრობაც არის და ვაჭრობაც. სწორეთ გაგიკვირდებათ, თათრების ბაზარში რომ ჩაიაროთ და დააკვირდეთ იმათ დუქნებს! ათში რვა დუქანი მაინც ხილით ვაჭრობს; ქიშმიში, ჩამიჩი, ინდის ხურმა და სხ. ამ გვარი — აი რას ჰხედავთ უმეტესად დუქნებში. ეს კიდევ არაფერი! თითო ამ გვარ დუქანში სამს კაცზეც ნაკლები არა ჰზის ისე, უსაქმოდ, შემოსხდომიან გაჩაღებულს მაყალს და ითბობენ გადაღეღილ გულებს. ქუჩები ხომ სავსეა უსაქმო ხალხით. ხელოსნობას თათარი ჭირივით გაურბის. მთელს შუშაში მხოლოდ რამდენსამე თათარს შეხვდებით, რომლებიც ხელოსნობას მისდევენ. მაზრებში ხომ სრულიად არ მოიპოვებიან. სიბნელე, სილატაკე, ამასთანავე წარმოუდგენელი უსაქმოობა — აი ნამდვილი სურათი აქაურის თათრების ცხოვრებისა, დაუმატეთ არსით შველა და იმედი! აწინდელი თათარი სცხოვრობს ისე, როგორც სცხოვრობდა ამ ათასის წლის წინათ. დაახლოვებით რომ გაიცნოთ თათარი, დარწმუნდებით, რომ იმას ყოველი იმედი დაუკარგავს თავისის ცხოვრების უკეთესად მოწყობისა.

კ. ვეზ—ლი

# რუსეთი

კიევში დასაარსებლად განზრახულ პოლიტეხნიკუმს სამი განყოფილების მაგიერ ოთხი განყოფილება ექმნება, სახელდობრ საავრონომიო, საქიმიო, საინჟენერო და სამექანიკო. ინსტიტუტში 1,100 კაცამდის მოსწავლე იქნება მიღებული. სამექანიკო განყოფილებაში 350 კაცი, საინჟენეროში — 325, საქიმიოში — 175 და საავრონომიოში — 250. ინსტიტუტში შესასვლელად მსურველთ ჩვეულებრივი სამეტოქეო ეგზამენი უნდა გარდიხადონ. მოსწავლემ სწავლის ფულად 100 მან. უნდა გარდიხადოს წელიწადში.

— ქ. ვარშავას დასაარსებლად განზრახული პოლიტეხნიკუმს სამი განყოფილება ექმნება, სახელდობრ, საინჟინერო, სამექანიკო და საქიმიო. პოლიტეხნიკუმში 750 კაცამდის მოსწავლე იქმნება მიღებული.

— ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს შესაფერი ღონის ძიებანი იღონოს იმის შესახებ, რომ რუსეთის ნავთის წარმოება მთლად უცხოელთა ხელში არ გადავიდეს.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელ ახლად განუმარტა ქალაქების თვით მმართველობათ, რომ შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს თავისს დროზედ წარმოუდგინეთ ხოლმე ქალაქის შემოსავალ-გასავალის ანგარიში, რომ ქალაქის ამა თუ იმ საგნის შესახებ შუამდგომლობის განხილვის დროს სახეში იქმნას მიღებული ეს ანგარიშებიო.

# უცხოეთი

**საბერძნეთი.** საბერძნეთის დეპუტატთა პალატამ ამას წინად განიხილა ის საგანი თუ რა დახმარება აღმოუჩინოს კრიტიდგან გამოქცეულთ, რომელნიც ულუკმა-პუროდ დაეხეტებიან საბერძნეთში და რომელთა რიცხვიც 17,000 კაცს აღემატება. მთავრობა შემლებისამებრ ხელს უმართავდა ამ საცოდავებს და 12,500 კაცს პურს ურიგებდა, მაგრამ ასეთის მცირედის დახმარებით საქმეს ბევრი არაფერი ეშველება და გარდა ამისა, თვით მთავრობაც ძალიან გაჭირვებულია. ამასთან გადმოხვეწილთ შორის სხვა-და-სხვა ავადმყოფობაც ძალიან არის გავრცელებული. ისე დღე არ გავა, რომ რამდენიმე კაცი არ გარდაიცვალოს.

— ათინის გაზეთები იუწყებიან, რომ ამა წლის აპრილის პირველ რიცხვებში საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი პეტერბურგში წავა, ხოლო პეტერბურგიდგან სხვა დიდთა სახელმწიფოთა სატახტო ქალაქებში. ბატონიშვილს გიორგის ამ მოგზაურობის დროს აზრადა აქვს პირადად მოელაპარაკოს ევროპის დიდთა სახელმწიფოთა მეფეებს იმის კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ დანიშვნის შესახებ.

**ირლანდია.** 6 მარტს, ლონდონში მცხოვრებ ირლანდიელთ იდღესასწაულეს ასის წლის შესრულება იმ დღიდგან რადგანაც ირლანდიელთა პირველი აჯანყება მოხდა. ამ დღესასწაულის გამო გამართულს ბანკეტზედ თავმჯდომარეობდა დილონი, რომელმაც თავის სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა, რომ 1789 წლის გმირთა საქმეს უნაყოფოდ არ ჩაუვლია: ირლანდიელნი იყვნენ და არიან თავისუფალ ერად და ირლანდია არასოდეს არ შეუერთდება ინგლისსაო. დილონმა გლადსტონისაგანაც მიიღო წერილი, რომელშიაც გამოჩენილი მოხუცი სწერდა, რომ თუ ირლანდიელნი მტკიცედ და თანხმად იმოქმედებენ თავიანთს აზრს განახორციელებენო.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი მდ).

წიგნი (№ 85) შეიცავს 491 ფურცელს, რომელთაგან 1—390 ტყავია, 391—492 ქაღალდი და 493—496 კიდევ ტყავი.

ტყავზედ ნაწერი უველა ერთის კაცის ხელია, ხოლო ქაღალდზედ სხვა პირთა. მე-440 ფურცლის მეორე გვერდზე ვკითხულობთ: „ქრისტე შეიწყალე ამისი მწერალი გიორგი“. ამავე ქაღალდზე ნაწერის უკანასკნელს ფურცელზე (ფურც. 492) სხვა ხელით სწერია თვეების სახელები დაუსრულებლად და მერე: „ღმერთო შეიწყალე სჳმონ კარგარეთელი“.

და შემდეგ:

დაუსაბამოო და დაუსრულებელო, განუყოფელო და შეურევნელო მიუწდომელო სამებაო სრულო. დასრულებაო ყოველთა არსთა არსებისაო. რომლისაგან ეგე ძრწიან ყოველნი დაბადებულნი ხილულნი და უხილავნი. რომელსა გმსახურებენ ყოველნი მხედრობაჲნი ცათანი: რომლისა მიმართ მოიდრკების ყოველი მუკლი: ზეცისათანი და ქუეყანისათანი. და ქუჴსკნელთანი. და ყოველი ენაჲ დიდებაის გმეტყველებს შენ: შენითა მაგით უსაზღვროჲთა და გამოუთქმელითა დიდებითა ადიდე ორთავე შინა სუფევათა აქა და უმეტეს წინაშე შენსა შენ-მიერ დიდ ქმნილი წმიდაჲ მეუფე ჩვენი ამბა იშხნელი აბარკი: რომელმან დიდად: იღუაწა მოგებად და ხარკებად წმიდისა ამის და სულთა განმანათლებელისაჲ: და ეკკლესიათა განმშუჳნებელისაჲ: წიგნისაჲ: და დაუსაყდრე ყოველთა ნების მყოფელთა შენთა თანა: სულსა დედაჲ მამაჲთა: და ძმათა მათთასა: და ყოველთა გარდაცვალებულთა: მათთასა: და მიანიჭე შენი სასუფეველი წმიდათა და რჩეულთა შენთა თანა ამინ.

წიგნს კიდევ აქვს შემდეგი წარწერები მხედრულით.

ფურც 390: ღმერთო შეიწყალე ცოდვილი თამაზ კარგარეთელი. ღმერთო აცოცხლე და ადღეგრძელე მალაქია კათალიკოზი. მალაქია აბაშიძე. ღმერთო შეიწყალე ცოდვილი მალაქია, ღმერთო შეიწყალე მალაქია (კათალიკოზი მალაქია აბაშიძე) († 1542 წ.).

ამავე მხედრულის ხელით ჩაწერილია გამოცანები (ფურც. 492 და იგივე უკანასკნელს გვერდზე):

აქ პირველ ხარ და ძმა ხარ ჩემი, მერმე ჩემის ცოლის შვილი. წადი მამას მოახსენე მოგივიდა შვილი ცოლის ქმარი.

აქ მოხსენებულნი კარგარეთლები (სვიმონ, გიორგი, ზებედე), პატივცემულ თ. ჟორდანიას მიერ შეკრებილ ცნობებით, იყვნენ შესანიშნავნი ხელოვანნი მწერალნი და სცხოვრობდნენ მე-XVI საუკ. ხოლო სვიმონის მამა იყო სოფრონ და სოფრონისა კარსიმე. *)

ამას გარდა აქა-იქ არშიაზე გვხვდება ტექსტის ხელითვე წარწერილი სახელები: ანდრია, ლეონტი, გერმანოს, ეფრემ, ეფრემ თარგმანი და სხვანი (იხ. ქვემო).

წიგნის შინაარსი:

ძლისპირნი და ღ̃თისმშობლისანი (ფურ. 1—48); ამაღლებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ (ფურც. 49—51); გალობანი სახელსა ზედა ყოველთა წმიდათასა, რომელთა ჴსენებასა აღვასრულებთ წელიწადსა შინა (ფ. 51—53); გალობანი ზზობისანი და ვნების კვირის დღეებისა (53—64); ძლისპირნი და ღ̃თისმშობლისანი — უფალო ღაღადყავ (64—100); ათორმეტნი დიდის პარასკევისანი (ფ. 100); ათორმეტნი ქრისტესშობისანი (ფ. 101); ათერთმეტი აღდგომისა საცისკროჲსა სახარებათა სტკქარონნი (ფ. 103); ოხითანი აღდგომისა რვა კმათა ზედა (106), იამბიკონი აღდგომისანი რვა ხმათა ზედა (108), რვა კმანი ფერისცვალებისანი (110), რვა ხმანი თავისკუჳთისანი (110); სტკქარონნი საწელიწდონი საუფლოთა დღესასწაულთანი და საჩინოთა წმიდათანი (ფ. 123—162); გალობანი: ღვთისმშობლის შობისანი (165), იოანე ოქროპირისაჲ (166), წმ. გიორგისანი (168), ტაძრად მიყვანებისათჳს (171), ქრისტეს შობისანი (173), ბასილისნი (174), განცხადებისანი (177), მიგებებისანი (174), ხარებისანი (180), ფერისცვალებისანი (182), მარიამობისანი (184), თავისკუჳთისანი (185), გალობანი სინანულისანი, თქმულნი დავით მეფისანი (აღმაშენებლისა) (ფურც. 187); ასეულნი იამბიკონი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისანი (190—205), იამბიკონი მარხვათა და ზატიკთანი (212); ოხითანი მარხვათა და ზატიკთანი (214); გამოვლინენი სამარადისონი (215): გალობანი წმ. იოანე ნათლისმცემლისანი, იოანე მახარობლისა, იოანე ოქროპირისანი ერთბამად შემოკრებილნი (218); უგანცხადებულესადრე ჯერარს გამოთქუმაჲ დღისაძიებლისათჳსვე, რომელთათჳს ქუჳმოჲსა საუწყებელთა შინა აღვწერე (231); ხუჳდრნი მენელსაცხებელთა (245); წმ. შაბათსა მწუხრი (249), კვრიაკეთა საგალობლები (253—274); უფალო ღაღადყავი ხატისა უხილავისაჲ ამავე გალობითა, თქმული არსენი ბულმაისიმის ძისაგან ქართლისა კათალიკოზისა (287), თუჳსა აგვისტოსა: ივ თაყვანისცემაჲ ცხოველს მყოფელისა საუფლოჲსა ხატისა არსენი კათალიკოზის მიერ... და საბაჲს მიერ სჳნგელოზისა (243): ძლისპირნი კელთუქმნელის ხატისანი არსენის მიერვე (294); ამას ზემოჲთნი (არსენი კათალიკოზის წერილი ფურც. 302); გალობანი: წმ. გიორგისნი (307), წმ. დიმიტრისი (310), თეოდორე სტრატილატისა (313); იამბიკონი, თქმულნი წმ. და ნეტარისა მამისა ჩუჳნისა იოანე შავთელისა (ქართული ქორონიკონ-კჳნკლოსი) (ფურც. 316—346); გალობანი მწვალებელთა ყოველთა თჳთეულისა წვალებისა შერუჳნებისანი (347); ჯერარს კსენებაჲ შუჳნიერისა და დიდისა აკოვნისაჲ (ძვირფასი წერილი აბუსერისძის ტბელისა ხიხათა ტაძრის აშენების შესახებ) (351—362); ძლისპირნი (363), წმ. ეკატერინასი (366), კლემენ-

*) ეს სახელი (ვარსიმე) უმეტესად ასაბუთებს ჩვენს აზრს, რომ ამ სახელიდამ წარმომდგარი გვარი „ამირან-დარეჯანიანის“ გმირისა სავარსიმიძე არ შეიძლება ითარგმნოს ისე, როგორც სთარგმნიან გრენი და მარრი, ე. ი. სავარსიმიძის მაგიერ არ შეიძლება ითქვას „сынъ Саварсима“ ანუ Саваръ-Симидзе“. ჩვენ მაშინვე შევნიშნეთ, რომ ვარსიმი ქართულად ჰქვიან დალაქს, სავარსიმი სადალაქო და აქედგან სავარსიმიძე (იხ. ჩვენი წერილი „О происхождении грузин. классиковъ (отвѣтъ г. Марру) Нов. Обозр. № 4284). ვარსიმი, რასაკვირველია, წარმომდგარა სვანურის კილოჲს ვარე-დამ, რომელიც უდრის წვერს (წვერი და ულვაში).

ტოს პაპისაჲ (367), ბარბარაჲსი და იოანე დამასკელისა (367), წმ. მარინაჲსი (372), გარდაცვალება იოანე მახარობელისა (375), ლუკა მახარებლისა (380), პეტრე პავლესი (386). დასდებელნი აღდგომისანი (391), სტქჰარონნი და იამბიკონი ღვთისმშობლისანი და სხ. (394); დასდებელნი აღდგომისანი (440); სახარებათა საძიებელი (480); დაყენებულთა, უჯეროთა და განგდებულთა ქორწინებათა მზახობათათჳს (481); განგებაჲ მუხლთ დრეკისაჲ წმ. მარტჳლიასა (484); საკითხავები დაბადებითგან (490); მხედრული წარწერები (ფურც. 492 გვ. მეორე) და გალობანი წმ. ღვთისმშობლისანი (493—496).

მარტო ეს მოკლე ნუსხაც გვიმტკიცებს, რომ ეს დიდი კრებული არის მეტად ძვირფასი საუნჯე ჩვენის ისტორიისა საზოგადოდ და ლიტერატურისა და გალობისა კერძოდ.

(შემდეგი იქნება)

## ნაკვესი

—

ინგლისური გულ-ცივობა. მოსამსახურემ გამოაღვიძა ჯონ ბული შუაღამისას და შეატყობინა, რომ თქვენი მეუღლე გარდაიცვალაო.

— ახლა ნუ შემიწუხებ გულს, ხვალ დილით მითხარ ეგ ამბავიო, — უთხრა ბატონმა.

## მკვდრების სტუმრობა

(ოსთა ცრუ-მორწმუნეობა)

ამ დიდ მარხვის მეოთხე კვირეს, ხუთშაბათს საღამოს, ოსებს ერთი ფრიად შესანიშნავი ჩვეულება ჰქონდათ და ახლაც თითქმის მთის ოსებში არ გადავარდნილა ეს დღესასწაული. ამ დღესასწაულს ეძახიან „ლაუზგანანას“. *) ამ ღამეს ოსი ელის მოსვლასა თავის ოჯახის ყველა გარდაცვალებულისას უხილავად, იმისს სტუმრობას, ამისთვის თითქმის მთელი ერთი კვირა სამზადისშია და ასუფთავებს სახლსა, ეზო-კარ-მიდამოსა, — არა სთქვან მკვდრებმა, ჩვენ შემდეგ უფრო ღარიბად სცხოვრობენ დანარჩენნიო.

ამ ღამისთვის მოამზადებენ დიდძალს სამარხვო საჭმლებს და სასმლებს, მაგალითად არაყს, ბურახს და ზოგნი ლუდსაც. რაც შეეხება „ლაუზებს“, ეს უსათუოდ ბევრი უნდა იყოს გამომცხვარი. შებინდების დროს გაშლიან სუფრას და იმდენს ხორაგს დააწყობენ, რომ სუფრაზედ არ ეტევა. უფროსი ადგება, დაიჭერს სასმელს ხელში და გაიხსენებს გარდაცვალებულის სახელებს და შენდობას ეტყვის. შემდეგ, რამდენსამე ხანს გაჩუმებულნი სდგანან. იმათის აზრით, ამ დროს სიჩუმისას მკვდრები მოდიან და პურსა სჭამენ. შემდეგ თითონაც დასხდებიან და სჭამენ კახშამსა. კახშმის შემდეგ გაავსებენ გუდას, ან ხურჯინს ხორაგით და კარებს უკან ჩამოჰკიდებენ, რომ როდესაც მკვდრები დაბრუნდებიან, თან საგზალად წაიღონო. იყო შემთხვევა, რომ ახალგაზდა ბიჭებს მოეპაროთ ეს სავსე გუდა და შეეჭამოთ. მეორე დილით პატრონების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდათ, საგზალი მკვდრებმა წაიღესო.

ამას გარდა, ვისაც ახალი მკვდარი ჰყავს, ის იმისაგან დარჩენილს ტანისამოსს ჯოხებზედ კაცის ნაკვთისავით მოჰმართავს, ამ თოჯას შემოაკრავენ ხანჯალს, ხმალს, დამბაჩასა და თოფს, დასვამენ სკამზედ, წინ დაუდგამენ პატარა სუფრას, დააწყობენ ხორაგს და შენდობას ეტყვიან, მთელი ღამე ასე უნდა იყოს ეს თოჯა და იქვე ეწყოს სტაქნები, ყანწები, კათხები გაშლილი სუფრა მეორე დღემდის.

ნ. გ.

*) ლაუზი არის გამომცხვარ ბლინსავით თხელი და რბილი ცომი, რომლის გამოცხობა მარტო იმ ღამეს შეიძლება.

## გამოსადეგი ცნობა

—

თაიგულის დიდის ხნით შესანახად ისე, რომ ყვავილები არ დაჭკნეს, საჭიროა ასე მოიქცეთ: თაიგულს წვალი ასხურეთ ზულკრიზატორით და მერე ჩასდგით საპნიან წყალში. ყოველ დღე დილით ამოიღეთ თაიგული, და სუფთა წყალში ჩასდგით. ორ-სამ წუთის შემდეგ თაიგული ისევ საპნიან წყალში ჩასდგით. ეს წყალი ყოველ სამ დღეში ერთხელ გამოსცვალეთ. ამბობენ, ამ გვარად ყვავილები თითქმის ერთს თვემდე შეინახება და არ დაჭკნება.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა დახმარებისათვის“ გამგე კომიტეტი ამით უცხადებს უგულითადესს მადლობას კნეინა ნატალია ალექსანდრეს ასულს ხერხეულიძისას და თავადს სოლომონ ალექსანდრეს ძეს ბებუთოვს 6 დესეტინა მიწის, 30,000 მანეთად ღირებულის, 20,000 მანეთად დათმობისათვის.

ამასთანავე კომიტეტი ჰრაცხს თავისს მოვალეობად განაცხადოს, რომ იგი, თანახმად კნეინა ხერხეულიძისა და თავადი ბებუთოვის სურვილისა, მოვალეა 6 დესეტინა მიწიდგან ორი დესეტინა უსასყიდლოდ გადასცეს მომავალ ქართულ დედათა სკოლას.

გამგე კომიტეტი

—

გულითადს მადლობას უცხადებთ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორს დიდად პატივცემულს მამა სერაფიმეს, რომლის განკარგულებით დადიან ყოველ კვირაობით ამ სემინარიის მე-VI კლასის მოსწავლენი, სახელდობრ: ა. გორგაძე, ი. კაციტაძე, თ. კალანდარიშვილი, ნ. ანჯაფარიძე და გ. პარკაძე ჩემდამო რწმუნებულ მამა დავითის ქალთა საკვირაო სასწავლებელში და მუყაითად ასწავლიან რუსულსა და ქართულს წერა-კითხვასა და ანგარიშს.

მმართველი მთა-წმიდის მამა დავითის ქალთა საკვირაო სასწავლებლისა, მღ. ნ. მაჭარაშვილი

# განცხადებანი


## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 17 მარტს, დღის 1 საათზედ გამგეობის დარბაზში საჯარო ვაჭრობაა დანიშნული იმ დუქნებისა და სარდაფების იჯარით გასაცემად, რომლებიც გოლოვინის პროსპექტზეა (შიოევისეული სახლი). დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში მუდამ დღე, უქმე დღეებს გარდა, დღის 12 საათიდგან 2 საათამდის.

(3—ნ.—3).

ე. ფ. აუფერმანის

## მანქანათა საწყობი



ტფილისში

აცხადებს, რომ ბერლინის გ. ფ. ეკკერტის ქარხნისა და ოდესის ი. ი. გენის ქარხნის ფოლადის გუთნები ამ სეზონში გაიყიდება

ქალაქ სიღნაღში

ამირან სერგეის ძე შავერდოვთან შავერდოვის ქარვასლაში, ზემო ბაზარში.

(10—39—9)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია . . . . . . . | „ | 20 |
| ოლიმპულ გზაზე, მოთხრობა . . . . . | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა . . . . . . | „ | 70 |
| მოსავლის მცველნი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 20 |
| რომანსები ი. კარგარეთელისა . . . . . | 1 | „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ | 25 |
| კანვაზე საკერი ანბანი . | „ | 40 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ილია ჭავჭავაძე ბიოგრაფია. | „ | 20 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |

## ასპინძის ომი,

ისტორიული ამბავი, იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, მეფე ერეკლეს პარტრეტით და ქარტით. ფასი ორი შაური.

## მეფე ერეკლე და ინგილო ქალი

ისტორიული მოთხრობა მისივე, ორი სურათით, ფასი ერთი შაური.

იყიდება ყოველს წიგნის მაღაზიაში აქეთა და იქითა საქართველოში.

(4—4)


# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 მარტს 1898 წლისას.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

### აქტივი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. საზოგადოების კასსა . . . . . . . . | 5617 | 66 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . | 118 | 58 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . | 12221 | 12 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . . | 162043 | 30 |
| V. განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. . . . . . . . . . | 315 | 67 |
| VI. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . 623—70 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 3047— — | | |
| გ) საქონელზედ . . . . . 7929— — | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 4767—73 | 16367 | 43 |
| VII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . | 182 | 61 |
| VIII. მოწყობა-მომართვა . . . . . . . . | 883 | 72 |
| IX. ვერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 14 | 21 |
| X. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . | 366 | 35 |
| XI. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . | 3019 | 95 |
| XII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . . | 500 | — |
| ს უ ლ | 201650 | 60 |

### პასსივი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 602 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . | 65091 | — |
| II. შემოტანილი ფული: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . . 48703—06 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . . . 31300— — | | |
| გ) უვადოდ . . . . . . . . . 20890— — | 100893 | 06 |
| III. სარგებელი განსაკუთრებულის მიმდინარე ანგარიშისა აზოვო-დონის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფ. . . . . . . . . . . | — | — |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 2297 | 50 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . | 597 | 17 |
| VI. გადაგირავება თამასუქებისა. . . . . . | 27850 | — |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . | 127 | 71 |
| VIII. მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა . . | 2390 | 97 |
| IX. წმინდა მოგება 1897 წლისა . . . . . . | 2403 | 19 |
| ს უ ლ | 201650 | 60 |
| პასუხის-მგებლობა 602 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | 585819 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . | 6900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . | 950 | — |

(1—ნ.—1)